საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 107^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 107^1. საერთო სარგებლობის ტრანსპორტის შიდა მოწყობილობის დაზიანება

საჰაერო ტრანსპორტის, სარკინიგზო ტრანსპორტის, მეტროპოლიტენის, საზღვაო ტრანსპორტის, შიდა სახმელეთო წყლების ტრანსპორტის, ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტრამვაის, სამარშრუტო ტაქსის შიდა მოწყობილობის დაზიანება –

გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების სამიდან ექვს მინიმალურ ოდენობამდე.“.

2. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 114^5 მუხლი:

„მუხლი 114^5. შიდა სახმელეთო წყლების ტრანსპორტის უსაფრთხოების წესის დარღვევა

1. შიდა სახმელეთო წყლების ტრანსპორტის უსაფრთხოების წესის დარღვევა –

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.“.

3. კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 212^1 მუხლი:

„მუხლი 212^1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

ამ კოდექსის 114^5 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს უფლებამოსილ პირებს.“.

4. 239-ე მუხლის:

ა) მე-11 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ამ კოდექსის 107^1 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ პოლიციის, სარკინიგზო ტრანსპორტის, საზღვაო ტრანსპორტისა და შიდა სახმელეთო წყლების ტრანსპორტის ორგანოების მიერ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.“;

ბ) 47^1 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 47^2 ნაწილი:

„47^2. ამ კოდექსის 114^5 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს უფლებამოსილი

პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 2 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

28 ივნისი 2023 წ.

N3312-XIმს-Xმპ